BUSINESS & HUMAN RIGHTS ACCELERATOR

ბიზნესისა და ადამიანის უფლებების ვალდებულებიდან მოქმედებამდე
შეამსუბუქეთ რისკები, შექმენით კონკურენტული უპირატესობა
ადამიანის უფლებების აქსელერატორთან ერთად

პროგრამის მიმოხილვა

მედია ორგანიზაციები, დასაქმებულები, მომხმარებლები, კლიენტები, პარტნიორები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ინვესტორები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ კორპორაციულ ზემოქმედებას ადამიანის უფლებებზე. საპასუხოდ, პასუხისმგებლიანი ბიზნესები ეძებენ გზებს, რათა აქტიურად დაიცვან ადამიანის უფლებები და თავიდან აიცილონ ადამიანის უფლებებზე უარყოფითი ზემოქმედება, მათი რეპუტაციის მართვის თანმდევად. როგორ აჩვენებს თქვენი კომპანია, რომ ადამიანის უფლებებს პატივს სცემს?

ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერატორი ექვსთვიანი პროგრამაა, რომელიც ააქტიურებს გაეროს გლობალური შეთანხმების წევრ კომპანიებს სხვადასხვა ინდუსტრიიდან და რეგიონიდან, რათა ვალდებულების აღებიდან ადამიანის უფლებებისა და შრომის უფლებებთან დაკავშირებით, რეალური ქმედებების განხორციელებაზე გადავიდნენ. ადამიანის უფლებებზე არსებითი გავლენების იდენტიფიცირების, სათანადო ზრუნვის პროცესის და სამოქმედო გეგმის შემუშავების გზით, ბიზნესისა და ადამიანის უფლებების აქსელერატორი თქვენს კომპანიას საშუალებას მისცემს, განავითაროს ადამიანის უფლებათა საკუთარი მიდგომა.

პროგრამის სარგებელი

- დაადგინეთ და შეაფასეთ თქვენი კომპანიის ფაქტობრივი ან პოტენციური უარყოფითი გავლენა ადამიანის უფლებებზე;
- შეიტყვეთ, როგორ გააერთიანოთ ეს აღმოჩენები პროცესებში და მიიღოთ შესაბამისი ზომები;
- თვალყური ადევნეთ გადადგმულ ნაბიჯებს და პროცესების ეფექტურობას, რათა იცოდეთ მუშაობს თუ არა ისინი;
- აწარმოეთ კომუნიკაცია, როგორ რეაგირებას ახდენთ შედეგებზე და აჩვენეთ დაინტერესებულ მხარეებს, რომ თქვენი კომპანია იღებს ზომებს და შესაბამის შედეგებს
- შექმენით კოლეგების, გაეროს პარტნიორებისა და ექსპერტების ქსელი, რათა მხარი დაუჭიროთ თქვენს აქტივობებს და ერთობლივად იმოქმედოთ ადამიანის უფლებებზე სათანადო ზრუნვის ეფექტურობის ბარიერების აღმოსაფხვრელად.

დაინტერესდით მონაწილეობით?

ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა აქსელერატორის ეროვნული გზა შემოთავაზებულია ჩამოთვლილი ადგილობრივი ქსელების მიერ. თუ ვერ ხედავთ თქვენს ქვეყანას ჩამონათვალში, გთხოვთ, მოიკითხეთ რეგიონულ ან გლობალურ გზაში მონაწილეობის შესაძლებლობა.

- ავსტრალია
- ავსტრია
- არგენტინა
- ბანგლადეში
- ბელორუსია
- ბოლივია
- ბრაზილია
- გერმანია
- გვატემალა
- დანია
- ეკვადორი
- ესპანეთი
- თურქეთი
- ინდონეზია
- კანადა
- კენია
- კოლუმბია
- კორეა
- მალაიზია და ბრუნეი
- მექსიკა
- ნიდერლანდები
- ნორვეგია
- პარაგვაი
- პერუ
- პორტუგალია
- სამხრეთ აფრიკა
- საფრანგეთი
- საქართველო
- ურუგვაი
- ფინეთი
- შვედეთი
- შვეიცარია და ლიხტენშტეინი
- შრი ლანკა
- ცენტრალური ამერიკა და დომინიკის რესპუბლიკა

მიღების წინაპირობები

ბიზნესისა და ადამიანის უფლებათა აქსელერატორში მონაწილეობის მისაღებად, კომპანიებს მოეთხოვებათ, იყვნენ გაეროს გლობალური შეთანხმების წევრები ან ჰქონდეთ გაწევრიანების სურვილი. თქვენი კომპანია ასევე უნდა იყოს:

- ამჟამად ჩართული გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელში, თქვენს რეგიონში, ან სურს, შეუერთდეს მას;
- მზად უნდა იყოს ადამიანის უფლებებზე გავლენების იდენტიფიცირებისა და ღირებულების ჯაჭვში მასზე, როგორც ძირითად სფეროზე ფოკუსირებისთვის;
- თანახმა, დანიშნოს ორი წარმომადგენელი აქსელერატორის აქტივობებისთვის და კოლეგებთან სწავლების სესიებში მონაწილეობისთვის. ასევე, აღმასრულებელი დონის წარმომადგენელი, რათა თვალყური ადევნოს აქსელერატორის განვითარებას, უზრუნველყოს მხარდაჭერა და მონაწილეობა მიიღოს მაღალი დონის ღონისძიებებში.

გაწრიგი

კომპანიების რეგისტრაცია:

პროგრამა იწყება:
2023 წლის თებერვალში
(გთხოვთ, გადაამოწმოთ გლობალური შეთანხმების ადგილობრივ ქსელთან)

მზად ხართ?

განაცხადის გასაკეთებლად, ესტუმრეთ
unglobalcompact.org/bhr-accelerator

პარტნიორი: Shift